



Electrolux



electrolux.com/register



LOX8P87WZ

KA მომხმარებლის სახელმძღვანელო | ღუმელი


3

RU Инструкция по эксплуатации | Духовой шкаф

29



მონტაჟი / МОНТАЖ



კეთილი იყოს თქვენი მოზრდნება Electrolux-ში! მადლობას გიხდით ჩვენი დანადგარის არჩევისათვის.



მიიღეთ მოხმარების შესახებ რჩევები, ბროშურები, პრობლემის დროს დახმარება, სერვისისა და შეკეთების შესახებ ინფორმაცია:
www.electrolux.com/support

ექვემდებარება შეცვლას წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

შინაარსი

1. უსაფრთხოების ინფორმაცია.....	3
2. უსაფრთხოების ინსტრუქციები.....	6
3. პროდუქტის აღწერა.....	9
4. კონტროლის პანელი.....	10
5. პირველად გამოყენებამდე.....	11
6. ყოველდღიური გამოყენება.....	12
7. დამატებითი ფუნქციები.....	16
8. საათის ფუნქციები.....	17
9. აქსესუარების გამოყენება.....	18
10. მინიშნებები და რჩევები.....	20
11. მოვლა და დასუფთავება.....	22
12. პრობლემის აღმოფხვრა.....	25
13. ტექნიკური მონაცემები.....	27
14. ენერგოეფექტურობა.....	27
15. გარემოსდაცვითი საკითხები.....	28

1. ⚠ უსაფრთხოების ინფორმაცია

მოწყობილობის დამონტაჟებამდე და მოხმარებამდე, ყურადღებით წაიკითხეთ მოწოდებულ ინსტრუქციებს. მწარმოებელი პასუხისმგებელი არ არის რაიმე პრობლემებთან დაკავშირებულ შეკითხვებზე და არასწორი მონტაჟის ან მოხმარების დროს მიყენებულ რაიმე სახის ზიანზე. ყოველთვის იქონიეთ ინსტრუქციები უსაფრთხო და ხელმისაწვდომ ადგილზე მომავალი გამოყენებისთვის.

1.1 ბავშვებისა და სუსტი ადამიანების უსაფრთხოება

- ამ მოწყობილობის გამოყენება შეუძლიათ ბავშვებს 8 წლის ასაკიდან და შეზღუდული ფიზიკური, გრძნობითი ან მენტალური შესაძლებლობის მქონე ან

გამოუცდელ პიროვნებებს, თუ მათ მიეცემათ მითითებები მოწყობილობის გამოყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხო გზით და გაიაზრებენ დაკავშირებულ საფრთხეებს. 8 წლამდე ასაკის ბავშვები და მნიშვნელოვნად უნარშეზღუდული პირები უნდა მოერიდონ მოწყობილობასთან სიახლოვეს ან გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ.

- ბავშვები უნდა იყვნენ ზედამხედველობის ქვეშ, რომ არ ითამაშონ მოწყობილობით და აპიანი მობილური მოწყობილობებით.
- იქონიეთ შეფუთვა ბავშვებისგან მოშორებით და განკარგეთ იგი სათანადოდ.
- გაფრთხილება: გამოყენების დროს მოწყობილობა და მისი ხელმისაწვდომი ნაწილები ცხელდება. მოაშორეთ ბავშვები და შინაური ცხოველები მოწყობილობას გამოყენების ან გაგრილების პროცესში.
- თუ მოწყობილობას გააჩნია ბავშვების უსაფრთხოების აპარატი, იგი უნდა ჩაირთოს.
- ბავშვებმა არ უნდა დაასუფთაონ და მოიხმარონ მოწყობილობა უფროსების ზედამხედველობის გარეშე.

1.2 ზოგადი უსაფრთხოება

- ეს მოწყობილობა მხოლოდ საკვების მოსამზადებლად არის განკუთვნილი.
- ეს მოწყობილობა განკუთვნილია ერთი ოჯახის მიერ შინ გამოსაყენებლად დახურულ სივრცეში.
- ეს მოწყობილობა შეიძლება გამოიყენებოდეს ოფისებში, სასტუმროს ნომრებში, B&B-ს ნომრებში, საოჯახო ფერმის ტიპის სასტუმროებსა და სხვა მსგავს საცხოვრებლებში, სადაც ასეთი გამოყენება არ სცდება საშუალო საყოფაცხოვრებო მოხმარების დონეებს.
- მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტმა უნდა დაამონტაჟოს ეს საყოფაცხოვრებო ელექტრო მოწყობილობა და შეცვალოს კაბელი.

- ნუ გამოიყენებთ მოწყობილობას ინსტალაციის ინსტალაციამდე.
- ტექნომისახურების ჩატარებამდე გამოერთეთ მოწყობილობა კვების წყაროდან.
- თუ კვების სადენი დაზიანებულია, უნდა შეცვალოს მწარმოებელმა, ავტორიზებული მომსახურების ცენტრმა ან მსგავსი კვალიფიკაციის მქონე პირებმა, ელექტრობასთან დაკავშირებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად.
- გაფრთხილება: ნათურის შეცვლამდე დარწმუნდით, რომ მოწყობილობა გამორთულია, რათა თავიდან აიცილოთ დენის შესაძლო დარტყმა.
- გაფრთხილება: გამოყენების დროს მოწყობილობა და მისი ხელმისაწვდომი ნაწილები ცხელდება. გამოიჩინეთ სიფრთხილე, რომ არ შეეხოთ გამათბობელ ელემენტებს ან საყოფაცხოვრებო ელექტრო მოწყობილობის კამერის ზედაპირს.
- ყოველთვის გამოიყენეთ ღუმელის ხელთათმანები აქსესუარების ან ჭურჭლის გამოსაღებად ან შესაღებად.
- გამოიყენეთ მხოლოდ ამ მოწყობილობისთვის რეკომენდებული საკვების სენსორი (შიდა ტემპერატურის სენსორი).
- თაროს დამჭერების მოსახსნელად ჯერ გამოსწიეთ გვერდითი კედლებიდან დამჭერის წინა ნაწილი, შემდეგ კი უკანა. დააყენეთ თაროს დამჭერები საპირისპირო მიმართულებით.
- არ გამოიყენოთ ორთქლით სარეცხი საშუალება მოწყობილობის გასაწმენდად.
- არ გამოიყენოთ უხეში აბრაზიული სარეცხი საშუალებები ან მეტალის საფხეკები მინის კარის გასაწმენდად, რადგან მათ შეიძლება გაფხაჭნონ ზედაპირი, რამაც შეიძლება მინა დააზიანოს.
- პიროლიზურ გასუფთავებამდე მოაცილეთ ყველა აქსესუარი და ზედმეტი ნადები / დაღვრილი სითხე მოწყობილობის ღრუს.

2. უსაფრთხოების ინსტრუქციები

2.1 მონტაჟი

გარფთხილება!

ეს მოწყობილობა მხოლოდ კვალიფიციურმა სპეციალისტმა უნდა დააყენოს.

- მოხსენით ყველა შეფუთვა.
- არ დაამონტაჟოთ და არ გამოიყენოთ დაზიანებული მოწყობილობა.
- გაეცანით ინსტალაციის ინსტრუქციებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ჩვენს ვებგვერდზე.
- ყოველთვის იყავით ფრთხილად მოწყობილობის გადატანისას, რადგან მძიმეა. ყოველთვის გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები და თანდართული ფეხსაცმელი.
- არ გაახოხოთ მოწყობილობა ხელით.
- დაამონტაჟეთ მოწყობილობა უსაფრთხო და შესაფერის ადგილზე, რომელიც აკმაყოფილებს ინსტალაციის მოთხოვნებს.
- შეინარჩუნეთ მინიმალური დისტანცია სხვა მოწყობილობებთან და ხელსაწყოებთან.
- მოწყობილობის დამონტაჟებამდე დარწმუნდით, რომ ის სწორად არის დაყენებული და კარი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იღება.
- მოწყობილობა აღჭურვილია გაგრილების ელექტრული სისტემით. ის უნდა მუშაობდეს ელექტროკვების წყაროზე.

2.2 ელექტრო კავშირი

გარფთხილება!

ხანძრისა და დენის დარტყმის რისკი.

- ელექტრო კავშირები უნდა გააკეთოს კვალიფიციურმა ელექტრიკოსმა.
- მოწყობილობა უნდა იქნას დამიწებული.
- დარწმუნდით, რომ სპეციფიკაციის იარაღიყზე მითითებული პარამეტრები თავსებადია ძირითადი დენის წყაროს ელექტრო სპეციფიკაციებთან.
- ყოველთვის გამოიყენეთ სწორად დაყენებული დარტყმაგამძლე ბუდე.

- არ გამოიყენოთ მარავალმესაერთებლიანი გადამყვანები და დამაგრებლები.
- დარწმუნდით, რომ არ აზიანებთ შტეფსელსა და სადენს. თუ სადენის შეცვლა არის საჭირო, ეს უნდა განხორციელდეს ჩვენი ავტორიზებული სერვის ცენტრის მიერ.
- დენის სადენი არ უნდა ეხებოდეს ან მიუახლოვდეს მოწყობილობის კარს ან დანადგარის ქვეშ ნიშას, განსაკუთრებით როცა კარი ცხელია.
- პირდაპირი და იზოლირებული ნაწილების დარტყმის საწინააღდეგო დაცვა ისე უნდა იყოს დამაგრებული, რომ ინსტრუმენტების გარეშე მოხსნა არ შეიძლებოდეს.
- შტეფსელი როზეტთან დააკავშირეთ მხოლოდ მონტაჟის ბოლოს. დარწმუნდით, რომ როზეტთან წვდომა არის დამონტაჟების შემდეგ.
- თუ როზეტი მოშვეებულია, არ შეაერთოთ შტეფსელი.
- არ მოქაჩოთ კაბელი მოწყობილობის გამოსართავად. ყოველთვის მოქაჩეთ შტეფსელით.
- გამოიყენეთ მხოლოდ სწორი საიზოლაციო მოწყობილობები: ხაზის მცველები, მცველები (ბუდიდან ამოღებული ხრახნიანი მცველები), მიწაზე ჟონვის კვალი და კონტაქტორები.
- ელექტრულ ინსტალაციას უნდა ჰქონდეს საიზოლაციო აპარატი, რომელიც საშუალებას მოგცემთ გათიშოთ მოწყობილობა დენის ქსელიდან ყველა პოლუსზე. საიზოლაციო აპარატს უნდა ჰქონდეს კონტაქტის ღიობი არანაკლებ 3 მმ სისქის.
- მთლიანად დახურეთ მოწყობილობის კარი სანამ მაგისტრალურ კაბელს როზეტთან შეაერთებთ.
- წინამდებარე მოწყობილობის მიწოდება ხდება ჩამრთველთან და ქსელურ კაბელთან ერთად.

ევროპაში მონტაჟისა და შეცვლისთვის საჭირო კაბელის ტიპები:

H07 RN-F, H05 RN-F, H05 RRF, H05 VV-F, H05
V2V2-F (T90), H05 BB-F, H05Z1Z1-F

კაბელის სექციის განსასაზღვრად
გაეცანით მთლიან სიმძლავრეს საფირმო
ფირფიტაზე. ამას გარდა, შეგიძლიათ
გაეცნოთ შემდეგ ცხრილს:

სრული სიმძლავრე (ვტ)	კაბელის კვეთი (მმ²)
მაქსიმუმ 1380	3x0.75
მაქსიმუმ 2300	3x1
მაქსიმუმ 3680	3x1.5

დამამიწებელი სადენი (მწვანე / ყვითელი
კაბელი) უნდა იყოს 2 სმ-ით გრძელი,
ვიდრე ყავისფერი ფაზისა და ლურჯი
ნულოვანი კაბელები.

2.3 გამოყენება

⚠ გარფთხილება!

დაზიანების, დაწვის და დენის
დარტყმის ან აფეთქების რისკი.

- არ შეცვალოთ ამ მოწყობილობის
სპეციფიკაცია.
- დარწმუნდით, რომ სავენტილაციო
ლიობები არ არის დაბლოკილი.
- მუშაობის დროს მოწყობილობა არ
დატოვოთ უმეთვალყურეოდ.
- გამორთეთ მოწყობილობა ყოველი
გამოყენების შემდეგ.
- ფრთხილად იყავით მოწყობილობის
კარის გაღებისას, როცა მოწყობილობა
მუშაობს. შეიძლება ცხელი ჰაერი
გამოვიდეს.
- არ ამუშაოთ მოწყობილობა სველი
ხელით ან წყალთან კონტაქტისას.
- არ მოახდინოთ ზეწოლა ღია კარზე.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა სამუშაო
ან შესანახ ზედაპირად.
- ფრთხილად გააღეთ მოწყობილობის
კარი. სპირტიანი ინგრედიენტების
გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს
ჰაერისა და ალკოჰოლის შერევა.
- კარის გაღებისას მოარიდეთ
მოწყობილობა ნაპერწკლებთან და
ცეცხლთან შეხებას.

- ყოველთვის გამოიყენეთ მინა და
ქილები, რომლებიც განკუთვნილია
კონსერვაციისთვის.
- არ მოათავსოთ აალებადი პროდუქტები
ან აალებადი პროდუქტებით
დასველებული საგნები
მოწყობილობაში, მოწყობილობაზე ან
მასთან ახლოს.
- არ გააზიაროთ თქვენი Wi-Fi პაროლი.

⚠ გარფთხილება!

მოწყობილობის გაფუჭების რისკი.

- მინანქრის დაზიანების ან ფერის
გადასვლის თავიდან ასაცილებლად:
 - არ მოათავსოთ ღუმელისთვის
განკუთვნილი ჭურჭელი ან სხვა
საგნები უშუალოდ ღუმელის
კამერის ძირზე.
 - არ დადოთ ალუმიინის ფოლგა
პირდაპირ მოწყობილობის ღრუს
ძირზე.
 - არ მოათავსოთ წყალი პირდაპირ
ცხელ მოწყობილობაში.
 - მომზადების შემდეგ არ დატოვოთ
ტენიანი ჭურჭელი ან საკვები
მოწყობილობაში.
 - ფრთხილად იყავით აქსესუარების
მოხსნისას თუ დაყენებისას.
- მინანქრის ან უქანგავი ფოლადის
ფერის გადასვლა გავლენას არ ახდენს
მოწყობილობის მუშაობაზე.
- გამოიყენეთ ღრმა ფორმა ნოტიო
ნამცხვრებისთვის. ხილის წვენი
ტოვებს ლაქებს, რომლებიც შეიძლება
მუდმივი იყოს.
- გამოიყენეთ მხოლოდ მწარმოებლის
მიერ რეკომენდებული ან
მოწყობილობის კომპლექტში შემავალი
აქსესუარები.
- საჭმლის მომზადებისას ღუმლის კარი
ყოველთვის დახურული უნდა იყოს.
- თუ მოწყობილობა დაყენებულია
ავეჯის პანელის (მაგ., კარის) უკან,
დარწმუნდით, რომ მოწყობილობის
მუშაობისას კარი არასდროს
დაიხურება. სითბო და ტენი,
შესაძლოა, დახურული პანელის უკან
დაგროვდეს და შედეგად,
მოწყობილობის, გარსაცმის ბლოკის ან
იატაკის დაზიანება გამოიწვიოს. არ
დახუროთ პანელი, სანამ
მოწყობილობა სრულად არ
გაგრილდება გამოყენების შემდეგ.

2.4 მოვლა და დასუფთავება

⚠ გარფთხილება!

დაზიანების, ხანძრის ან მოწყობილობის გაფუჭების რისკი.

- ნებისმიერი მოვლის ოპერაციამდე, გათიშეთ მოწყობილობა და გამორთეთ შტექერი როზეტიდან.
- დარწმუნდით, რომ მოწყობილობა ცივია. არსებობს მინის პანელის გატეხვის რისკი.
- დაზიანების შემთხვევაში მაშინვე შეცვალეთ კარის მინის პანელები. დაუკავშირდით ავტორიზებულ სერვის ცენტრს.
- ფრთხილად მოაშორეთ კარს მოწყობილობა, კარი მძიმეა.
- რეგულარულად გაწმინდეთ მოწყობილობა ზედაპირის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.
- გაწმინდეთ მოწყობილობა რბილი სველი ტილოთი. გამოიყენეთ მხოლოდ ნეიტრალური სარეცხი საშუალება. არ გამოიყენოთ აბრაზიული პროდუქტები, აბრაზიული საწმენდი ბალიშები, გამსხნელები ან რკინის ნივთები.
- ღუმელის სპრეის გამოყენების შემთხვევაში დაიცავით შეფუთვაზე მოცემული უსაფრთხოების ინსტრუქცია.

2.5 პიროლიზური წმენდა

⚠ გარფთხილება!

დაზიანების / ხანძრის / ქიმიური გამოწვების რისკი (ორთქლის) რისკი პიროლიზურ რეჟიმში.

- პიროლიზური წმენდის და პირველი გაცხელების წინ ღუმელის კამერიდან მოაშორეთ შემდეგი:
 - საკვების ნებისმიერი ნარჩენი, ზეთის ან ცხიმის ლაქები/ ნარჩენები.
 - ნებისმიერი მოძრავი ობიექტი (მათ შორის, თაროები, გვერდითი რელსები და ა.შ., რომლებიც მოჰყვამდე, განსაკუთრებით, ქვაბები, არაკრობადი ტაფები, ლანგრები, დანა-ჩანგალი და ა.შ.

- ყურადღებით წაიკითხეთ პიროლიტური წმენდის ყველა ინსტრუქცია.
- პიროლიტური წმენდის ფუნქციის გამოყენებისას ბავშვები მოარიდეთ მოწყობილობას. მოწყობილობა ძალიან ცხელდება და წინა გამაგრებული სარქველებიდან გამოდის ცხელი ჰაერი.
- პიროლიტური წმენდა მიმდინარეობს მაღალი ტემპერატურის ქვეშ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კვამლის გამოყოფა საკვების ნარჩენებისგან. ამიტომ მომზადდით ჯერჯერობით:
 - უზრუნველყავით კარგი ვენტილაცია პიროლიტური გაწმენდის ყოველ ჯერზე და მის შემდეგ.
 - უზრუნველყავით კარგი ვენტილაცია წინასწარი გაცხელების ყოველ ჯერზე და მის შემდეგ.
- მინის პანელების დაზიანების თავიდან ასაცილებლად არ დადგაროთ ან დაასხათ წყალი ღუმელის კარზე პიროლიტური გაწმენდის ყოველ ჯერზე და მის შემდეგ.
- ყველა პიროლიტური ღუმელიდან / საჭმლის ნარჩენებიდან გამოყოფილი ორთქლი, როგორც აღწერილია, არ არის საშიშროება ადამიანისთვის, მათ შორის ბავშვებისთვის, ან სამედიცინო ჩვენების მქონე პირებისთვის.
- პიროლიტური წმენდის და პირველი გაცხელების დროს და შემდეგ მოარიდეთ მოწყობილობას შინაური ცხოველები. პატარა შინაური ცხოველები (განსაკუთრებით, ჩიტები და რეპტილიები), შესაძლოა, განსაკუთრებით მგრძნობიარენი იყვნენ ტემპერატურული ცვლილებებისა და გამოყოფილი კვამლის მიმართ.
- ქვაბები, ტაფები, ლანგრები, დანა-ჩანგალი და ა.შ. შესაძლოა დაზიანდეს მაღალი ტემპერატურის პიროლიტური წმენდის ოპერაციის დროს.

2.6 შიდა განათება

⚠ გარფთხილება!

დენის დარტყმის რისკი.

- პროდუქტში არსებული ნათურა(ები) და სათადარიგო ნათურის ნაწილები

დამოუკიდებლად უნდა შეიძინოთ: ეს ნათურები განკუთვნილია ექსტრემალური ფიზიკური პირობებისათვის საყოფაცხოვრებო დანადგარებში, როგორც არის ტემპერატურა, ვიბრაცია, ტენიანობა და ასევე იღებენ სასიგნალო ინფორმაციას დანადგარის საოპერაციო სტატუსის შესახებ. ისინი არ არის განკუთვნილი სხვა დანადგარებში გამოყენებისათვის და საყოფაცხოვრებო ოთახების გასანათებლად.

- ეს პროდუქტი შეიცავს G-კლასის ენერგოეფექტურობის მქონე სინათლის წყაროს.
- გამოიყენეთ მხოლოდ იმავე სპეციფიკაციის ნათურები.

2.7 სერვისი

- მოწყობილობის შესაკეთებლად დაუკავშირდით ავტორიზებულ სერვის ცენტრს.

- გამოიყენეთ მხოლოდ ორიგინალი სათადარიგო ნაწილები.

2.8 განკარგვა


⚠ გარფთხილება!

დაზიანების ან დაზუთვის რისკი.

- დაუკავშირდით თქვენს მუნიციპალურ სამსახურს, საყოფაცხოვრებო ელექტრო მოწყობილობის სათანადო წესის დაცვით გადაგდების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.
- გამორთეთ მოწყობილობა დენის მთავარი წყაროდან.
- გადაჭერით მთავარი ელექტროსადენი მოწყობილობასთან ახლოს და შეინახეთ.

3. პროდუქტის აღწერა


3.1 ზოგადი მიმოხილვა



- 1 კონტროლის პანელი
- 2 დისპლეი
- 3 საკვები პროდუქტების სენსორის ბუდე
- 4 გამათბობელი ელემენტი
- 5 ნათურა
- 6 ვენტილატორი
- 7 თაროს საყრდენი, მოსახსნელი
- 8 თაროს პოზიციები

4. კონტროლის პანელი

4.1 მართვის პანელის მოკლე მიმოხილვა



1 **ON (ჩართვა) / OFF (გამორთვა)**
შეეხეთ ხანგრძლივად იკამდე, სანამ მოწყობილობა ჩაირთვება და გაითიშება.

2 **Menu (მენიუ)**
ჩამოთვლილია მოწყობილობის ოფციონები და პარამეტრების ფუნქციები.

3 **Favourites (რჩეულები)**
ფავორიტი პარამეტრების ჩამონათვალები.


4 **დისპლეი**
აჩვენებს მოწყობილობის მიმდინარე პარამეტრებს.

5 **განათების ჩამრთველი**
ნათურის ჩართვისა და გამორთვისათვის.

6 **Fast Heat Up (სწრაფი გაცხელება)**
ფუნქციის ჩასართავად და გამოსართავად: Fast Heat Up (სწრაფი გაცხელება).

4.2 დისპლეი

დისპლეი ძირითადი ფუნქციების ჩამონათვალით.



- A. Wi-Fi
- B. Time of Day (დღის მანძილზე დრო)
- C. START (დაწყება) / STOP (გაჩერება)
- D. Temperature (ტემპერატურა)
- E. გაცხელების ფუნქციები
- F. Timer (ტაიმერი)
- G. Food Sensor (საკვები პროდუქტების სენსორი) (მხოლოდ შერჩეული მოდელებისთვის)

დისპლეის ინდიკატორები

OK არჩევანის / პარამეტრის დასადასტურებლად.

< მენიუში ერთი დონით უკან დასაბრუნებლად.

↻ ბოლო მოქმედების გასაუქმებლად.

☑ პარამეტრების ჩართვისა და გამორთვისათვის.

🔒 მოწყობილობა ჩაკეტილია.

🔔 აქტიურდება ხმოვანი გაფრთხილების ფუნქცია.

🔔 STOP აქტიურდება ხმოვანი გაფრთხილებისა და საჭმლის მომზადების შეჩერების ფუნქცია.

🔔 აქტიურდება მხოლოდ ამომხტარი შეტყობინება.

🕒 Delayed start (დაყოვნებული დაწყება) ფუნქცია გააქტიურებულია.

✕ პარამეტრის გაუქმება.

📶 Wi-Fi კავშირი ჩართულია.

📶 Remote Operation (დისტანციური მუშაობა) ჩართულია.



ეკრანი სხვადასხვა შეტყობინებებს აჩვენებს. როდესაც შეტყობინების ფანჯარა გამოჩნდება, გასაგრძელებლად დააჭირეთ ეკრანს.

5. პირველად გამოყენებამდე

გარფთხილება!

იხილეთ უსაფრთხოების თავები.

5.1 პირველი კავშირი

პირველი დაკავშირების შემდეგ ეკრანზე მისასალმებელი შეტყობინება აისახება.

თქვენ უნდა დააყენოთ: Language (ენა), Display Brightness (ეკრანის სიკაშკაშე), Key Tones (ღილაკის ტონები), Buzzer Volume (ხმოვანი სიგნალის დონე), Time of Day (დღის მანძილზე დრო).

5.2 უსადენო კავშირი

ლუმენის დასაკავშირებლად თქვენ დაგჭირდებათ:

- უსადენო ქსელი ჩართული ინტერნეტ კავშირით.
 - იმავე უსადენო ქსელთან დაკავშირებული მობილური მოწყობილობა.
1. აპის ჩამოსატვირთად დაასკანერეთ QR კოდი, რომელიც განთავსებულია მომხმარებლის სახელმძღვანელოს უკანა ყდაზე. აპლიკაციის ჩამოტვირთვა პირდაპირ App Store-დან შეგიძლიათ.
 2. მიჰყევით აპლიკაციაში მოცემულ ინსტრუქციებს.
 3. ჩართეთ ლუმენი.
 4. დააჭირეთ . აირჩიეთ: Settings (პარამეტრები) / Connections (კავშირები).
 5.  - გადაასრიალეთ ან დააჭირეთ ჩასართავად ან გამოსართავად: Wi-Fi. მოწყობილობის უსადენო მოდულის ჩართვას სჭირდება მაქსიმუმ 90 წმ.



უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, დისტანციური მუშაობა ავტომატურად ითიშება 24 სთ-ში. გაიმეორეთ კონფიგურაცია საჭიროების შემთხვევაში.

სიხშირე	2.4 გჰც WLAN
	2400 - 2483.5 მჰც
პროტოკოლი	IEEE 802.11b DSSS, 802.11g/n OFDM
მაქსიმალური სიმძლავრე	EIRP < 20 dBm (100 mW)
Wi-Fi მოდული	NIUS-50

5.3 პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები

ამ პროდუქტში პროგრამული უზრუნველყოფა შეიცავს კომპონენტებს, რომლებიც უფასო და ღია პროგრამულ უზრუნველყოფას ეფუძნება. Electrolux ადასტურებს ღია პროგრამული უზრუნველყოფისა და რობოტექნიკის საზოგადოების წვლილს პროექტის განვითარებაში.

სალიცენზიო პირობების მიხედვით გასაჯაროების საჭიროების მქონე ამ უფასო და ღია პროგრამული უზრუნველყოფის კომპონენტების წყაროს კოდზე წვდომის მისაღებად და საავტორო უფლებების და შესაბამისი სალიცენზიო პირობების შესახებ სრული ინფორმაციის გასაცნობად იხილეთ: <http://electrolux.opensoftwarerepository.com> (საქალაქი NIUS).

5.4 წინასწარ გაცხელება და წმენდა

პირველად გამოყენებამდე და მასში საკვების მოთავსებამდე, წინასწარ გაცხელეთ ცარიელი მოწყობილობა. მოწყობილობამ შეიძლება არასასიამოვნო სუნი და კვამლი გაუშვას. წინასწარ გაცხელების დროს განიავეთ ოთახი.

1. მოხსენით მოწყობილობას ყველა აქსესუარი და თაროების მოხსნადი დამჭერები.
2. დააყენეთ ფუნქცია . დააყენეთ მაქსიმალური ტემპერატურა. იხილეთ ყოველდღიური გამოყენება. ამუშავეთ მოწყობილობა 1 სთ-ს განმავლობაში.
3. დააყენეთ ფუნქცია . დააყენეთ მაქსიმალური ტემპერატურა.

ამუშავეთ მოწყობილობა 15 წთ-ს განმავლობაში.

- დააყენეთ ფუნქცია . დააყენეთ მაქსიმალური ტემპერატურა. ამუშავეთ მოწყობილობა 15 წთ-ს განმავლობაში.
- გამორთეთ მოწყობილობა და დაელოდეთ მის გაცივებას.

- მოწყობილობა და აქსესუარები გაწმინდეთ მხოლოდ მიკრობოჭკოვანი ტილოთი, თბილი წყლითა და მსუბუქი საწმენდი საშუალებით.
- დააბრუნეთ აქსესუარები და თაროების მოხსნადი დამჭერები თავდაპირველ პოზიციაში.

6. ყოველდღიური გამოყენება

გარფთხილება!

იხილეთ უსაფრთხოების თავები.

6.1 გაცხელების ფუნქციები

STANDARD (სტანდარტი)

	Grill (გრილზე შეწვა) საკვები პროდუქტის თხელი ნაჭრების გრილზე შეწვა და პურის გახუხვა.
	Turbo Grilling (ტურბო მომზადება გრილზე) თაროს ერთ პოზიციაზე საქონლის თუ ფრინველის ძვლიანი ხორცის შესაწვავად. გრატენის გამოსაცხობად და შესაწვავად.
	True Fan Cooking (ნამდვილი კონვექციური მომზადება) ხორცის შესაწვავად და ნამცხვრების გამოსაცხობად. კონვექციური მომზადებისათვის, დააყენეთ შედარებით დაბალი ტემპერატურა, ვინაიდან კონტეინტორი ღუმლის კამერაში სითბოს თანაბრად გადაანაწილებს.
	Frozen Foods (გაყინული საკვები) იდეალურია მზა საჭმელებისთვის (მაგ., კარტოფილი ფრი, კოკეტები ან სპრინგ-როლები).
	Conventional Cooking (კონვენციური მომზადება) გამოსაცხობად და შესაწვავად თაროს ერთ პოზიციაზე..
	Hot air & Bottom (ცხელი ჰაერი და ქვედა) პიცის გამოსაცხობად და სხვა ისეთი კერძების მოსამზადებლად, რომლებიც მეტ გაცხელებას მოითხოვს ძირიდან.



Bottom Heat (ქვედა წვა)

აირჩიეთ ეს ფუნქცია საჭმლის მომზადების დასრულების შემდეგ იმისთვის, რომ საკვები უფრო მეტად ძირზე შეიბრაწოს, საჭიროების შემთხვევაში. გამოიყენეთ ყველაზე დაბალი თაროს დონე.



Bread Baking (პურის ცხობა)

პურის საცხობად.



Dough Proving (ცომის მომზადება)

საფუჯრიანი ცომის აფუების დასაჩქარებლად. დააფარეთ ცომის ზედაპირს, რათა თავიდან აიცილოთ მისი გამომშრობა.

SPECIALS (სპეციალური)



Preserving (შენახვა)

ხილისა ან ბოსტნეულის დაკონსერვებისას, კონსერვების ქილები მოათავსეთ წყლით სავსე საცხობ ლანგარზე, თბომდეგი საცობის ტიპის თავსახურებით ან იმავე ზომის ზრანხიანი თავსახურებით. გამოიყენეთ თაროს ყველაზე დაბალი პოზიცია.



Dehydrating (დეჰიდრატაცია)

დაჭრილი ხილის, ბოსტნეულისა და სოკოს გასაშრობად. ტენიანი ჰაერი რომ გამოვიდეს და ხილი უკეთ გაშრეს, რეკომენდებულია პერიოდულად გააღოთ ღუმელის კარი გაშრობის პროცესში.



Plate Warming (ფირფიტის გათბობა)

თევზების წინასწარ გაცხელება სუფრაზე გასატანად.

	Defrost (გალღობა) საკვები პროდუქტის (ბოსტნეულისა და ხილის) გასაღობად. გაღობის დრო დამოკიდებულია გაყინული საკვები პროდუქტის ოდენობასა და ზომაზე.
	Au Gratin (გრატინი) ისტორიული კერძებისთვის, როგორცაა ლაზანია ან კარტოფილის გრატენი. გრატენების გამოსაცხობად და მოსაბრაწად.
	Slow Cooking (ნელი მომზადება) დაბალ ტემპერატურაზე მომზადების პროცესი. შესანიშნავია დელიკატესების მისამზადებლად (მაგალითად, ძროხის, ხბოს ან ცხვრის). უფრო მდიდარი სურნელის მისაღწევად და უკეთესად დასაბრაწად, თავიდან მოხრაკეთ ნორმი ღუმელში მოთავსებამდე.
	Keep Warm (სითბოს შენარჩუნება) საკვები პროდუქტის თბილად შესანახად. გაითვალისწინეთ, რომ ზოგიერთი კერძის მომზადება შეიძლება გაგრძელდეს და ის გამომრეც თბილად დატოვების განმავლობაში. დააფარეთ თავსახური კერძებს საჭიროების შემთხვევაში.
	Moist Fan Baking (ცხობა ტენიანი ვენტილატორით) ეს ფუნქცია შექმნილია საჭმლის მომზადების დროს ენერგიის დასაზოგად. ამ ფუნქციის გამოყენებისას მოწყობილობის შიდა კამერაში არსებული ტემპერატურა შესაძლოა დაყენებული ტემპერატურისგან განსხვავდებოდეს. გამოიყენება ნარჩენი სიცხე. გაცხელების სიმძლავრე შეიძლება შემცირდეს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ყოველდღიური გამოყენება, შენიშვნები: Moist Fan Baking (ცხობა ტენიანი ვენტილატორით)
	PizzaExpert პიცის სწრაფად გამოსაცხობად გახურებულ პიცის ფოლადზე მაღალ ტემპერატურაზე, რაც უზრუნველყოფს ხრაშუნა ძირს და რბილ, ჰაეროვან ქერქს. ეს ფუნქცია სითბოს თანაბრად ანაწილებს ღუმელის მთელ ინტერიერში.

6.2 შენიშვნები შემდეგზე: Moist Fan Baking (ცხობა ტენიანი ვენტილატორით)

ეს ფუნქცია გამოიყენება ენერგოეფექტურობის კლასისა და ეკოდიზაინის მოთხოვნების შესაბამისად (როგორც ამას განსაზღვრავს EU 65/2014 და EU 66/2014). ტესტირება: IEC/EN 60350-1-ით.

ფუნქცია რომ არ შეფერხდეს და ღუმელმა ენერგოეფექტურობის უმაღლესი ხარისხით იმუშაოს, საჭმლის მომზადების დროს ღუმელის კარი დაკეტილი უნდა იყოს.

ამ ფუნქციის გამოყენებისას ნათურა ავტომატურად ითიშება 30 წამის შემდეგ.

კერძის მომზადების ინსტრუქციისთვის იხილეთ მიწიშენებები და რჩევები, Moist Fan Baking (ცხობა ტენიანი ვენტილატორით). ენერგიის დაზოგვასთან დაკავშირებით ზოგადი რეკომენდაციების მისაღებად იხილეთ ენერგოეფექტურობა, ენერგიის დაზოგვის რჩევები.

6.3 პარამეტრი: გაცხელების ფუნქციები

1. ჩართეთ ღუმელი. ეკრანზე აისახება ნაგულისხმები გაცხელების ფუნქცია და ტემპერატურა.
2. დააჭირეთ გაცხელების ფუნქციის სიმბოლოს  ქვემენიუში შესასვლელად.
3. აირჩიეთ გაცხელების ფუნქცია და დააჭირეთ OK.
4. დააყენეთ ტემპერატურა. დააჭირეთ ღილაკს OK.
5. დააჭირეთ ღილაკს START. Food Sensor (საკვები პროდუქტების სენსორი) - სენსორის ჩართვა შეგიძლიათ საჭმლის მომზადებამდე ან მის განმავლობაში, ნებისმიერ დროს. იხილეთ აქსესუარების გამოყენება, საკვების სენსორი.
6. STOP - დააჭირეთ გაცხელების ფუნქციის გამოსართავად.
7. გამორთეთ მოწყობილობა.



ღუმელის ზოგი ფუნქციის მუშაობის განმავლობაში 80 °C-ზე დაბალ ტემპერატურაზე ნათურა შესაძლოა ავტომატურად გაითიშოს.

6.4 Menu (მენიუ)

დააჭირეთ ღილაკს მენიუში შესასვლელად.

მენიუს საგანი		აღწერა
Assisted Cooking (მომზადება დახმარებით)		გამოიტანს ავტომატური პროგრამების ჩამონათვალს.
Cleaning (წმენდა)		გამოიტანს წმენდის პროგრამების ჩამონათვალს.
Favourites (რჩეულები)		ფავორიტი პარამეტრების ჩამონათვალები.
Options (ოპციები)		მოწყობილობის კონფიგურაციის დაყენება.
Settings (პარამეტრები)	Connections (კავშირები)	მოწყობილობის კონფიგურაციის დაყენება.
	Setup (აწყობა)	მოწყობილობის კონფიგურაციის დაყენება.
	Service (სერვისი)	აჩვენებს პროგრამის ვერსიასა და კონფიგურაციას.

ქვე-მენიუ შემდეგისთვის: Cleaning (წმენდა)

ქვე-მენიუ	აღწერა
Pyrolytic cleaning, quick (პიროლიზური წმენდა, სწრაფი)	ხანგრძლივობა: 1 h.

ქვე-მენიუ აღწერა

Pyrolytic cleaning, normal (პიროლიზური წმენდა, სტანდარტული)

ხანგრძლივობა: 1 h 30 min.

Pyrolytic cleaning, intense (პიროლიზური წმენდა, ინტენსიური)

ხანგრძლივობა: 2 h 30 min.

ქვე-მენიუ შემდეგისთვის: Options (ოპციები)

ქვე-მენიუ აღწერა

Light (სინათლე)

ჩართავს და გამორთავს ნათურას.

Child Lock (ბავშვებისთვის ბლოკირება)

ხელს უშლის მოწყობილობის შემთხვევით გააქტიურებას.

Fast Heat Up (სწრაფი გაცხელება)

ამოკლებს გაცხელების დროს. ხელმისაწვდომია გაცხელების მხოლოდ ზოგიერთი ფუნქციისათვის.

Cleaning Reminder (წმენდის შეხსენებელი)

ჩართავს და გამორთავს შეხსენებას.

Digital Clock Style (ციფრული საათის სტილი)

ცვლის ეკრანზე გამოსული დროის მაჩვენებლის ფორმატს.

ქვემენიუ შემდეგისთვის: Settings (პარამეტრები)

Connections (კავშირები)

ქვე-მენიუ	აღწერა
Wi-Fi	გასააქტიურებლად და გასათიშად: Wi-Fi-ით.
Remote Operation (დისტანციური მუშაობა)	დისტანციური მუშაობის გასააქტიურებლად და გასათიშად. პარამეტრი ხილვადია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას ჩართავთ: Wi-Fi-ით.
Auto Remote Operation (ავტომატური დისტანციური მუშაობა)	START (დაწყება)-ზე დაჭერის შემდეგ დისტანციური ოპერაციის ავტომატურად დასაწყებად. პარამეტრი ხილვადია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას ჩართავთ: Wi-Fi-ით.
Network (ქსელი)	ქსელის სტატუსისა და სიგნალის სიმძლავრის შესამოწმებლად: Wi-Fi-ით.
Forget Network (ქსელის დავიწყება)	მიმდინარე ქსელის მოწყობილობასთან ავტომატური კავშირის გასათიშად.

Setup (აწყობა)

ქვე-მენიუ	აღწერა
Language (ენა)	აყენებს მოწყობილობის ენას.
Display Brightness (ეკრანის სიკაშკაშე)	აყენებს ეკრანის სიკაშკაშეს.
Key Tones (ღილაკის ტონები)	ჩართავს და გამორთავს სენსორული ველების ხმას. ხმის გამორთვა შეუძლებელია შემდეგისთვის: ①.
Buzzer Volume (ხმოვანი სიგნალის დონე)	აყენებს ტონებისა და სიგნალების ხმას.
Time of Day (დღის მანძილზე დრო)	აყენებს მიმდინარე დროსა და თარიღს.

Service (სერვისი)

ქვე-მენიუ	აღწერა
Demo Mode (დემო-რეჟიმი)	აქტივაციის / დეაქტივაციის კოდი: 2468
Software Version (პროგრამული ვერსიის შესახებ)	ინფორმაცია პროგრამული ვერსიის შესახებ.
Reset All Settings (ყველა პარამეტრის განულება)	ალადგენს ქარხნულ პარამეტრებს.

6.5 პარამეტრი: Assisted Cooking (მომზადება დახმარებით)

Assisted Cooking (მომზადება დახმარებით) ქვემენიუ შედგება დამატებითი ფუნქციების ნაკრებისგან და პროგრამებისგან, რომლებიც შექმნილია სპეციალური კერძებისთვის. ამ ქვემენიუში მოცემული თითოეული კერძისთვის მითითებულია შესაფერისი პარამეტრი. დროისა და ტემპერატურის დარეგულირება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ საჭმლის მომზადებისას.

ზოგიერთი კერძის შემთხვევაში, მომზადებისას ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ Food Sensor (საკვები პროდუქტების სენსორი). ტემპერატურა, რომელიც საჭიროა კერძის მოსამზადებლად, არის:

- Rare (ნახევრად შემწვარი)
- Medium (საშუალოდ შემწვარი)
- Well Done (კარგად შემწვარი)

ზოგიერთი კერძის შემთხვევაში, მომზადებისას ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ Weight Automatic (ავტომატური აწონა).

1. ჩართეთ ღუმელი.
2. დააჭირეთ ღილაკს .
3. დააჭირეთ -ს. შეიყვანეთ Assisted Cooking (მომზადება დახმარებით).
4. აირჩიეთ კერძი ან საკვების ტიპი.
5. მოათავსეთ საკვები მოწყობილობაში და დააჭირეთ START -ს.

ფუნქციის დასრულების შემდეგ შეამოწმეთ, არის თუ არა კერძი მზად.

გაახანგრძლივეთ საჭმლის მომზადების დრო საჭიროების შემთხვევაში.

7. დამატებითი ფუნქციები

7.1 Favourites (რჩეულები) ☆

თქვენ შეგიძლიათ თქვენი ისეთი 3 საყვარელი პარამეტრის შენახვა, როგორცაა გაცხელების ფუნქცია, საჭმლის მომზადების დრო ან წმენდის ფუნქცია.

1. ჩართეთ ღუმელი.
2. აირჩიეთ პრივილეგირებული პარამეტრი.
3. დააჭირეთ ღილაკს .
4. აირჩიეთ: Favourites (რჩეულები) / მიმდინარე პარამეტრების შენახვა.
5. დააჭირეთ + რათა სიაში დაამატოთ პარამეტრი: Favourites (რჩეულები)-ით.
6. დააჭირეთ OK.

 - დააჭირეთ პარამეტრის გასაწმენდად.

 - დააჭირეთ პარამეტრის გასაუქმებლად.

7.2 ფუნქციის ბლოკირება

ეს ფუნქცია ხელს უშლის მოწყობილობის ფუნქციების შემთხვევით ცვლილებას.

1. ჩართეთ ღუმელი.
2. დააყენეთ გაცხელების ფუნქციაზე.
3. ☆,  - ფუნქციის ჩასართავად დააჭირეთ ერთსა და იმავე დროს.

☆,  - ფუნქციის გამოსართავად დააჭირეთ ერთსა და იმავე დროს.

7.3 Child Lock (ბავშვებისთვის ბლოკირება)

ეს ფუნქცია ხელს უშლის მოწყობილობის შემთხვევით გააქტიურებას.

1. ჩართეთ ღუმელი.
2. დააჭირეთ .
3. აირჩიეთ Options (ოპციები) / Child Lock (ბავშვებისთვის ბლოკირება).
4. დააჭირეთ კოდის სიმბოლოებს ანბანური წყობის მიხედვით.
5. გამორთეთ მოწყობილობა.

Child Lock (ბავშვებისთვის ბლოკირება) გააქტიურებულია.

მიწვდით: Timer (ტაიმერი), Wi-Fi და ნათურა ხელმისაწვდომი იქნება. კარი დაკეტილია როდესაც მოწყობილობა გამორთულია.

მოწყობილობის გამოყენების გასააქტიურებლად დააჭირეთ კოდის სიმბოლოებს ანბანური წყობის მიხედვით.

ამ ფუნქციის გამოსართავად გაიმეორეთ ზემოთ მითითებული ნაბიჯები.

7.4 ავტომატური გამორთვა

უსაფრთხოების მიზნით, თუ გაცხელების ფუნქცია გააქტიურებულია და არც ერთი ფუნქცია არაა შეცვლილი, მოწყობილობა ავტომატურად გამოირთვება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

 (°C)	 (სთ)
30 - 115	12.5
120 - 195	8.5
200 - 245	5.5
მაქსიმუმ 250	3

დააყენეთ საჭმლის მომზადების დრო, თუკი გათბობის ფუნქციის გამოყენებას ავტომატური გამორთვის ხანგრძლივობაზე მეტი ხნით გეგმავთ. იხილეთ საათის ფუნქციები.

ავტომატური გამორთვა არ მუშაობს ამ ფუნქციებთან: Light (სინათლე), Food Sensor (საკვები პროდუქტების სენსორი), დასრულების დრო.

7.5 გამაგრებული ვენტილატორი

საყოფაცხოვრებო ელექტრო მოწყობილობის მუშაობისას გრილი ზედაპირის შესანარჩუნებლად ავტომატურად ირთვება გამაგრებული ვენტილატორი. საყოფაცხოვრებო ელექტრო მოწყობილობის გამორთვის

შემთხვევაში, გამაგრებელი
ვენტილაციური მუშაობას მოწყობილობის
გაგრძელებამდე განაგრძობს.

8. საათის ფუნქციები

8.1 საათის ფუნქციების აღწერა

ფუნქცია	აღწერა
Timer (ტაიმერი)	საჭმლის მომზადების ხანგრძლივობის დაყენება. მაქსიმუმი არის 23 სთ 59 წთ. თქვენ შეგიძლიათ, დააყენოთ, რა მონდეს, როდესაც დრო ამოიწურება, ამისთვის დააყენეთ სასურველი: End Action (მოქმედების დასრულება).
End Action (მოქმედებ ს დასრულე ბა)	Sound Alarm (ხმოვანი სიგნალი) — განსაზღვრული დროის დასრულების შემდეგ გამოიცემა სიგნალის ხმა. ამ ფუნქციის დაყენება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, მაშინაც, როცა მოწყობილობა გამორთულია. Sound Alarm and stop cooking (ხმოვანი სიგნალი და მზადების შეჩერება) — დროის ამოწურვის შემდეგ გაისმება სიგნალის ხმა და გათბობის ფუნქცია ითიშება. Pop up message only (მხოლოდ კონტექსტურ ფანჯარაში მოცემული შეტყობინება) — როდესაც დრო ამოიწურება, ეკრანზე ჩნდება შეტყობინება. ამ ფუნქციის დაყენება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, მაშინაც, როცა მოწყობილობა გამორთულია.
Delayed start (დაყოვნებ ული დაწყება)	საჭმლის მომზადების დაწყების ან / და დასრულების დროის გადასაწევად.
Time Extension (დროის გახანგრძლ ივება)	მომზადების დროის გახანგრძლივება.

ფუნქცია	აღწერა
Uptimer (მუშაობის ტაიმერი)	მოწყობილობის მუშაობის ხანგრძლივობის ჩვენება. მაქსიმუმი არის 23 სთ 59 წთ. შეგიძლიათ, ჩართოთ და გამორთოთ ფუნქცია: ეს ფუნქცია გავლენას არ ახდენს მოწყობილობის მუშაობაზე.



ზოგიერთი საათის ფუნქცია შეიძლება
არ იყოს ხელმისაწვდომი გარკვეული
სამზარეულოს ფუნქციებისთვის.

8.2 პარამეტრი: Time of Day (დღის მანძილზე დრო)

1. ჩართეთ ღუმელი.
2. დააჭირეთ: Time of Day (დღის
მანძილზე დრო)-ით.
3. დროის დაყენება.
4. დააჭირეთ OK.

8.3 პარამეტრი: Timer (ტაიმერი)

1. აარჩიეთ გაცხელების ფუნქცია და
დააყენეთ ტემპერატურა.
2. დააჭირეთ ღილაკს
3. დროის დაყენება.
სასურველი საბოლოო მოქმედების
ასარჩევად შეგიძლიათ დააჭიროთ ღილაკს
● ● ● .
4. დააჭირეთ ღილაკს OK. გაიმეორეთ
მოქმედება იქამდე, სანამ დისპლეი
მთავარ ეკრანს აჩვენებს.
როდესაც საჭმლის მომზადების დროის
10%-ია დარჩენილი და საკვები ჯერ კიდევ
არ ჩანს მზად, თქვენ შეგიძლიათ
გაზარდოთ საჭმლის მომზადების დრო.
თქვენ ასევე შეგიძლიათ შეცვალოთ
გაცხელების ფუნქცია. საჭმლის
მომზადების დროის
გასახანგრძლივებლად დააჭირეთ +1min -
ს.

8.4 პარამეტრი: Delayed start (დაყოვნებული დაწყება)

1. დააყენეთ გაცხელების ფუნქცია და ტემპერატურა.
2. დააჭირეთ ღილაკს ☹.
3. დააყენეთ მომზადების დრო.
4. დააჭირეთ ღილაკს • • • .
5. დააჭირეთ: Delayed start (დაყოვნებული დაწყება)-ით.
6. აირჩიეთ დაწყების სასურველი დრო.
7. დააჭირეთ ღილაკს OK. გაიმეორეთ მოქმედება იქამდე, სანამ დისპლეი მთავარ ეკრანს აჩვენებს.

8.5 პარამეტრი: Uptimer (მუშაობის ტაიმერი)

1. დააჭირეთ ღილაკს ☹.
2. დააჭირეთ ღილაკს • • • .

3. დააჭირეთ: Uptimer (მუშაობის ტაიმერი)-ით.
4. გაასრიალეთ ან დააჭირეთ ⏸-ს, რათა მუშაობის დრო მთავარი ეკრანზე გამოჩნდეს.
5. დააჭირეთ ღილაკს OK. გაიმეორეთ მოქმედება იქამდე, სანამ დისპლეი მთავარ ეკრანს აჩვენებს.

8.6 ტაიმერის პარამეტრების შეცვლა

თქვენ, საჭმლის მზადების პროცესის განმავლობაში, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ შეცვალოთ ტემპერატურა.

1. დააჭირეთ ღილაკს ☹.
2. ტაიმერის მნიშვნელობის დაყენება.
3. დააჭირეთ ღილაკს OK.

9. აქსესუარების გამოყენება

⚠ გარფთხილება!

იზილეთ უსაფრთხოების თავები.

9.1 აქსესუარების ჩასმა


აქსესუარები ზელომისაწვდომია მოდელის მიხედვით. დაასკანირეთ QR-კოდი, რომ გაეცნოთ, როგორ გამოიყენოთ მოწყობილობასთან ერთად მოწოდებული აქსესუარები. დამატებითი აქსესუარების შეკვეთა ცალკე შეგიძლიათ. დამატებითი ინფორმაციისთვის, დაუკავშირდით თქვენს ადგილობრივ მომწოდებელს.



ზემოთ მცირე ნაჭდევი უსაფრთხოებას ზრდის და დაქანებისგან დაცვას უზრუნველყოფს. ნაჭდევი ასევე გადასრიალების საფინაალმდეგო საშუალებებია. თაროს ირგვლივ კიდე ხელს უშლის თაროდან სამზარეულოს ჭურჭლის გადაცურებას.

ჩასვით აქსესუარი (ცხაურა / ლანგარი) თაროს დამჭერის მიმართველ ღეროებს შორის. დარწმუნდით, რომ თარო

ლუმელის კამერის უკანა მხარეს ეხება და ფენები მიმართულია ქვემოთკენ.



თუ ლანგარი დახრილია, მოათავსეთ ის ლუმელის კამერის უკანა მხარისკენ.

თუ აქსესუარზე არის წარწერა, დარწმუნდით, რომ ის მომართულია თქვენკენ.

თუ იყენებთ ნახვრეტების მქონე ლანგარს, მოათავსეთ ლანგარი/ტაფა ქვემოდან მწვეთავი სითხეების შესაგროვებლად.

9.2 Food Sensor (საკვების პროდუქტების სენსორი)

ზომავს ტემპერატურას საკვების შიგნით. მისი გამოყენება გაცხელების ნებისმიერ ფუნქციასთან შეგიძლიათ.

დასაყენებელია ორი ტემპერატურა:

- °C - მოწყობილობის შიდა ტემპერატურა. ის საკვების შიდა ტემპერატურაზე სულ მცირე 25°C-ით მაღალი უნდა იყოს.
-  - პროდუქტის შიდა ტემპერატურა. რეკომენდაციები:


- ინგრედიენტები უნდა იყოს ოთახის ტემპერატურის.
- არ გამოიყენოთ თხევადი კერძებისთვის.
- მომზადების დროს საკვები პროდუქტების სენსორის ნემსი სრულად უნდა იყოს ჩასმული კერძში. მოწყობილობა გამოითვლის მომზადების დასრულების მიახლოებით დროს. ეს დამოკიდებულია საკვების რაოდენობაზე, გაცხელების ფუნქციასა და ტემპერატურაზე.

საჭმლის მომზადება: Food Sensor (საკვები პროდუქტების სენსორი)

გარფთხილება!


არსებობს დამწვრობების მიღების რისკი, რადგან საკვები პროდუქტების სენსორი და თაროს დამჭერები ცხელდება. არ შეუხოთ საკვები პროდუქტების სენსორს შიშველი ხელებით. ყოველთვის გამოიყენეთ ღუმელის ხელთათმანები.

1. ჩართეთ ღუმელი.
2. დააყენეთ გათბობის ან კერძის ფუნქცია და, თუ საჭიროა, ღუმელის ტემპერატურა.
3. ჩასვით საკვები პროდუქტების სენსორი კერძის შიგნით:
ხორცი, შინაური ფრინველის ხორცი და თევზი
საკვები პროდუქტების სენსორის მთელი ნემსი მოათავსეთ ხორცის ან თევზის ცენტრში, ყველაზე სქელ ნაწილში.



კასეროლი

საკვები პროდუქტების სენსორის წვერი ზუსტად ქვაბის ცენტრში მოათავსეთ. საკვები პროდუქტების სენსორი მოზადების დროს მყარად უნდა იყოს ერთ ადგილას. ამის მისაღწევად გამოიყენეთ მყარი ინგრედიენტი. გამოიყენეთ საცხობი ჭურჭლის რგოლი საკვები პროდუქტების სენსორის სილიკონის სახელურის დასამაგრებლად. საკვები პროდუქტების სენსორის წვერი არ უნდა ეხებოდეს საცხობი ჭურჭლის ძირს.



4. შეაერთეთ საკვები პროდუქტების სენსორი მოწყობილობის შიგნით განთავსებულ როზეტში. იხილეთ პროდუქტის აღწერა.

ეკრანზე ნაჩვენებია საკვები პროდუქტების სენსორის მიმდინარე ტემპერატურა.

5.  - დააჭირეთ სენსორის ძირითადი ტემპერატურის დასაყენებლად.
6. ● ● ● - დააჭირეთ სასურველი ოფციის დასაყენებლად:
 - Sound Alarm (ხმოვანი სიგნალი) - როცა საკვები ძირითად ტემპერატურას მიაღწევს, გაისმება სიგნალის ხმა.
 - Sound Alarm and stop cooking (ხმოვანი სიგნალი და მოზადების შეჩერება) - როდესაც საკვები

ძირითად ტემპერატურას მიაღწევს, გაისმება სიგნალის ხმა და ღუმელი შეწყვეტს მუშაობას.

7. აირჩიეთ ოფცია და განმეორებით დააჭირეთ OK მთავარ ეკრანზე გადასასვლელად.
8. დააჭირეთ START -ზე.
9. როცა საკვები დაყენებულ ტემპერატურას მიაღწევს, გაისმება

- სიგნალის ხმა. შეამოწმეთ, მზად არის თუ არა საკვები. გაახანგრძლივეთ საჭმლის მომზადების დრო საჭიროების შემთხვევაში.
10. მოხსენით საკვები პროდუქტების ტემპერატურის სენსორი ბუდიდან და ამოიღეთ კერძი მოწყობილობიდან.

10. მინიშნებები და რჩევები

10.1 საჭმლის მომზადების რეკომენდაციები

ცხრილებში მოცემული ტემპერატურები და საჭმლის მომზადების დროები მხოლოდ საცნობაროა. ისინი დამოკიდებულია რეცეპტებზე, გამოყენებული ინგრედიენტების ხარისხსა და რაოდენობაზე.

თქვენმა მოწყობილობამ შესაძლოა წინა მომზადებისგან განსხვავებულად გამოაცხოს ან შეწვას საჭმელი. ქვემოთ მოცემულ რჩევებში რეკომენდებულია ტემპერატურის, კერძის მომზადების დროისა და თაროს პოზიციის პარამეტრები საკვები პროდუქტების კონკრეტული ტიპებისთვის.

დაითვალეთ თაროების პოზიციები ღუმელის ძირიდან.

თუ თქვენ ვერ პოულობთ პარამეტრებს კონკრეტული რეცეპტისთვის, მოიძიეთ მისი მსგავსი.

ენერგიის დაზოგვის რჩევებისთვის იხილეთ ენერგოეფექტურობა.

ცხრილებში გამოყენებული სიმბოლოები:

	საკვების ტიპი
	გაცხელების ფუნქცია
°C	ტემპერატურა
	აქსესუარი
	თაროს პოზიცია
	მომზადების დრო (წთ)

10.2 Moist Fan Baking (ცხობა ტენიანი ვენტილაციით) - რეკომენდებული აქსესუარები

გამოიყენეთ მუქი და არაამრეკლავი თუნუქის ფორმები და კონტეინერები. ისინი უკეთ შთანთქმავს სითბოს, ვიდრე ღია ფერის და ამრეკლავი ჭურჭელი.

- **პიცის ტაფა** - მუქი, არაამრეკლავი, დიამეტრი: 28 სმ
- **საცხობი ჭურჭელი** - მუქი, არაამრეკლავი, დიამეტრი: 26 სმ
- **რამეკინი** - კერამიკის, დიამეტრი: 8 სმ, სიმაღლე: 5 სმ
- **თუნუქის საცხობი ფორმა** - მუქი, არაამრეკლავი, დიამეტრი: 28 სმ

10.3 Moist Fan Baking (ცხობა ტენიანი ვენტილაციით)

საუკეთესო შედეგების მისაღებად, დაიცავით ქვემოთ მოცემული ცხრილის შემოთავაზებები.

	°C			
ტბილი ხვეულები, 16 ნაჭერი	180	2	20 - 30	1)
ხვეულები, 9 ნაჭერი	180	2	30 - 40	1)
პიცა, გაყინული, 0,35 კგ	220	2	10 - 15	2)
შვეიცარიული რულეტი	170	2	25 - 35	1)
ბრაუნი	175	3	25 - 30	1)
სუფლე, 6 ნაჭერი	200	3	25 - 30	3)

	°C			
ბისკვიტის ცომის ფლანის ბაზა	180	2	15 - 25	4)
სენდვიჩი ვიქტორია	170	2	40 - 50	5)
მოხარშული თევზი, 0,3 კგ	180	3	20 - 25	1)
მთლიანი თევზი, 0,2 კგ	180	3	25 - 35	1)
თევზის ფილე, 0,3 კგ	180	3	25 - 30	6)
მოხარშული ხორცი, 0,25 კგ	200	3	35 - 45	1)
მწვადი, 0,5 კგ	200	3	25 - 30	1)
ორცხობილები, 16 ნაჭერი	180	2	20 - 30	1)
მაკარუნები, 24 ნაჭერი	180	2	25 - 35	1)
მაფინები, 12 ნაჭერი	170	2	30 - 40	1)
სანელბლიანი საკონდიტრო ნაწარმი, 20 ნაჭერი	180	2	25 - 30	1)

	°C			
ფხვიერ ქერქიანი ბისკვიტები, 20 ნაჭერი	150	2	25 - 35	1)
ტარტალები, 8 ნაჭერი	170	2	20 - 30	1)
ბოსტნული, მოხარშული, 0,4 კგ	180	3	35 - 45	1)
ვეგეტარიანული ომლეტი	200	3	25 - 30	6)
ხმელთაშუა ზღვის ბოსტნული, 0,7 კგ	180	4	25 - 30	1)

- 1) გამოიყენეთ საცხობი ლანგარი ან საწვეთური ტაფა
- 2) გამოიყენეთ ცხაურა
- 3) გამოიყენეთ კერამიკის საცხობი ფორმა ცხაურაზე
- 4) გამოიყენეთ თუნუქის საცხობი ფორმა ცხაურაზე
- 5) გამოიყენეთ საცხობი ჭურჭელი ცხაურაზე.
- 6) გამოიყენეთ პიცის ტაფა ცხაურაზე.

10.4 ინფორმაცია ტესტირების დაწესებულებებისთვის

შემოწმებას გადის, როგორც ამას მოითხოვს IEC 60350-1.

				°C	
პატარა ნამცხვრები, 20 თითო ლანგარზე	Conventional Cooking (კონვენციური მომზადება)	საცხობი ლანგარი	3	170	20 - 35
პატარა ნამცხვრები, 20 თითო ლანგარზე	True Fan Cooking (ნამდვილი კონვენციური მომზადება)	საცხობი ლანგარი	3	150 - 160	20 - 35
პატარა ნამცხვრები, 20 თითო ლანგარზე	True Fan Cooking (ნამდვილი კონვენციური მომზადება)	საცხობი ლანგარი	2 და 4	150 - 160	20 - 35
ვაშლის ღვეზელი, 2 ფორმა Ø 20 სმ	Conventional Cooking (კონვენციური მომზადება)	გისოსებიან ი თარო	2	180	70 - 90
ვაშლის ღვეზელი, 2 ფორმა Ø 20 სმ	True Fan Cooking (ნამდვილი კონვენციური მომზადება)	გისოსებიან ი თარო	2	160	70 - 90

				°C	
უცნიმო ბისკვიტი, ნამცხვრის ფორმა Ø26 სმ ¹⁾	Conventional Cooking (კონვენციური მომზადება)	გისოსებიან ი თარო	2	170	40 - 50
უცნიმო ბისკვიტი, ნამცხვრის ფორმა Ø26 სმ ¹⁾	True Fan Cooking (ნამდვილი კონვექციური მომზადება)	გისოსებიან ი თარო	2	160	40 - 50
უცნიმო ბისკვიტი, ნამცხვრის ფორმა Ø26 სმ ¹⁾	True Fan Cooking (ნამდვილი კონვექციური მომზადება)	გისოსებიან ი თარო	2 და 4	160	40 - 60
ფხვიერი ნამცხვარი	True Fan Cooking (ნამდვილი კონვექციური მომზადება)	საცხობი ლანგარი	3	140 - 150	20 - 40
ფხვიერი ნამცხვარი	True Fan Cooking (ნამდვილი კონვექციური მომზადება)	საცხობი ლანგარი	2 და 4	140 - 150	25 - 45
ფხვიერი ნამცხვარი	Conventional Cooking (კონვენციური მომზადება)	საცხობი ლანგარი	3	140 - 150	25 - 45
გახუხული პური ¹⁾	Grill (გრილზე შეწვა)	გისოსებიან ი თარო	4	მაქს.	1 - 5

¹⁾ წინასწარ გააცხელეთ მოწყობილობა 10 წუთის განმავლობაში.

11. მოვლა და დასუფთავება

გარფთხილება!

იზილეთ უსაფრთხოების თავები.

11.1 მითითებები დასუფთავებასთან დაკავშირებით

საწმენდი საშუალებები

- მოწყობილობის წინა მხარე გაწმინდეთ მხოლოდ მიკრობოჭკოვანი ტილოთი, თბილი წყლითა და მსუბუქი საწმენდი საშუალებით.
- ლითონის ზედაპირების გასაწმენდად გამოიყენეთ საწმენდი ხსნარი.
- გაწმინდეთ ლაქები მსუბუქი საწმენდი საშუალებით.

ყვავლდღიური მოხმარება

- გაწმინდეთ მოწყობილობის შიდა ნაწილი ყოველი გამოყენების შემდეგ.

ცხიმის ან სხვა ნარჩენების დაგროვებამ შეიძლება გეცხლი გააჩინოს.

- მოწყობილობაში ან კარის მინის პანელებზე შესაძლოა ტენი დაგროვდეს. კონდენსაციის შესამცირებლად ამუშავეთ მოწყობილობა საჭმლის მომზადებამდე 10 წუთის განმავლობაში. არ შეინახოთ საკვები მოწყობილობაში 20 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში. მოწყობილობის შიდა ნაწილი გაამშრალეთ მხოლოდ მიკრობოჭკოვანი ტილოთი ყოველი გამოყენების შემდეგ.

აქსესუარები

- ყოველი გამოყენების შემდეგ გაწმინდეთ და გააშრეთ ყველა აქსესუარი. გამოიყენეთ მხოლოდ მიკრობოჭკოვანი ტილო, თბილი წყალი და მსუბუქი საწმენდი საშუალება. არ


გარეცხვით აქსესუარები ჭურჭლის სარეცხ მანქანაში.

- არ გაწმინდოთ არაკრობადი აქსესუარები აბრაზიული საწმენდი საშუალებებით ან ბასრკიდებთან საგნებით.

11.2 თაროს დამჭერების

თაროს დამჭერების მოხსნა მოწყობილობის გასასუფთავებლად.

1. გამორთეთ მოწყობილობა და დაელოდეთ მის გაცივებას.
2. გამოქაჩეთ თაროს დამჭერის წინა ნაწილი გვერდითი კედლიდან.
3. გამოქაჩეთ თაროს დამჭერის უკანა ბოლო გვერდითი კედლიდან.



4. დააბრუნეთ თაროების დამჭერები თავდაპირველ პოზიციაში. აღნიშნული ნაბიჯები უკუეთანმიმდევრობით გაიმეორეთ.

ტელესკოპური სასანძების მოწოდების შემთხვევაში, მისი დამჭერი სარკები წინ უნდა იყოს მიმართული.

11.3 Pyrolytic Cleaning (პიროლიზური წმენდა)

გამოიყენეთ ის მოწყობილობის გასასუფთავებლად და ნარჩენების ამოსაწვავად.

⚠ გარფთხილება!

არსებობს დამწვრობის მიღების რისკი.

⚠ სიფრთხილე!

იმავე კარადაში თუ სხვა მოწყობილობაცაა დამონტაჟებული, ამ ფუნქციის მუშაობის დროს პარალელურად ნუ გამოიყენებთ. ამან შესაძლოა ღუმელის დაზიანება გამოიწვიოს.

არ ჩართოთ ფუნქცია, თუ სრულად არ დაგისურავთ ღუმელის კარი.

1. დარწმუნდით, რომ მოწყობილობა ცივია.
2. მოხსენით ყველა აქსესუარი.
3. ღუმელის ინტერიერი და კარის შიდა შუშა გაწმინდეთ თბილი წყლით, რბილი ტილოთი და მსუბუქი საწმენდი საშუალებით.
4. ჩართეთ ღუმელი.

5. დააჭირეთ ლილავს $\equiv$ / Cleaning (წმენდა).

6. აირჩიეთ წმენდის რეჟიმი. წმენდის დაწყებისას ღუმელის კარი იბლოკება და სანათი ითიშება.

გამაგრებული ვენტილატორი უფრო მაღალ სიჩქარეზე მუშაობს.

STOP - დააჭირეთ წმენდის შესაჩერებლად, სანამ დასრულდება. არ გამოიყენოთ მოწყობილობა ეკრანიდან კარის ბლოკირების სიმბოლოს გაქრობამდე.

7. დასუფთავების დასრულების შემდეგ გამორთეთ მოწყობილობა და დაელოდეთ მის გაცივებას, სანამ გაასუფთავებდეთ.
8. გაწმინდეთ ღუმელის ინტერიერი რბილი ტილოთი. მოაცილეთ ნარჩენები ღუმელის ძირიდან.

11.4 Cleaning Reminder (წმენდის შემხსენებელი)

როცა შეხსენება ჩნდება, რეკომენდებულია გასუფთავება.

გამოიყენეთ ფუნქცია: პიროლიზური წმენდა.


11.5 კარის მოხსნა და დაყენება

შეგიძლიათ, გასაწმენდად მოხსნათ ღუმლის კარი და მინის შიდა პანელები. მინის პანელების მოხსნამდე წაიკითხეთ „კარის მოხსნისა და დამონტაჟების“ მთლიანი ინსტრუქცია.


⚠ სიფრთხილე!

ნუ მოიხმართ მოწყობილობას მინის პანელების გარეშე.


1. მთლიანად გააღეთ კარი და დაიჭირეთ ორივე ანჯამა.




2. ასწიეთ და გამოჭაჩეთ რაზა, სანამ დაწყაუნების ხმას გაიგონებთ.



3. ნახევრად დახურეთ ღუმელის კარი გახსნის პირველ პოზიციაზე. შემდეგ ასწიეთ და გამოჭაჩეთ კარი მისი ბუდიდან გამოსაღებად.




4. მოათავსეთ კარი სტაბილურ ზედაპირზე მოთავსებულ რბილ ქსოვილზე.
5. დაიჭირეთ კარის კიდე **A** კარის ზედა ნაპირზე ორ მხარეზე და მიაწეით შიგნით დამჭერი პლომბის გასათავისუფლებლად.



6. კარის საპირე მოსახსნელად წინ გამოჭაჩეთ.
7. სათითაოდ დაიჭირეთ კარის მინის პანელები მათ ზედა კიდეზე და


გამოჭაჩეთ მიმმართველიდან გარეთ. დარწმუნდით, რომ მინა დამჭერებიდან მთლიანად გამოსრიალდა.



8. გაწმინდეთ მინის პანელი წყლითა და საპნით. ფრთხილად გაამშრალეთ მინის პანელები. მინის პანელებს ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ნუ გაასუფთავებთ.
9. გასუფთავების შემდეგ დამონტაჟეთ მინის პანელები და ღუმლის კარი. დარწმუნდით, რომ მინის პანელებს უკან სწორი თანმიმდევრობით ათავსებთ. შეამოწმეთ სიმბოლო / ნაბეჭდი შუშის პანელის გვერდზე. თუ კარი სწორადაა დამონტაჟებული, რაზების დახურვისას ტკაცუნის ხმას გაიგონებთ.



ბეჭდვის ზონა **B** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიტრიალებული უნდა იყოს ღუმლის შიგნითა მხარეს.



11.6 ნათურის გამოცვლა



გარფთხილება!

ელექტროშოკის რისკი.
ნათურა შეიძლება ცხელი იყოს.

1. გამორთეთ მოწყობილობა და დაელოდეთ მის გაცივებას.
2. გამოაერთეთ მოწყობილობა ქსელიდან.
3. დადეთ ტილო ღუმელის ძირზე.



სიფრთხილე!

ჰალოგენური ნათურა ყოველთვის ტილოთი დაიჭირეთ, ცხიმის ნარჩენი რომ არ მიეწვას.

უკანა სანათი

1. დაატრიალეთ და მოხსენით მინის საფარი.

2. გაწმინდეთ მინის საფარი.
3. შეცვალეთ ნათურა შესაბამისი 300°C ტემპერატურის მიმართ მედეგი ნათურით.
4. დააყენეთ მინის ზუფი.

12. პრობლემის აღმოფხვრა



გარფთხილება!

იხილეთ უსაფრთხოების თავები.

12.1 რა უნდა გავაკეთო, თუ...

პრობლემის აღწერილობა	მიზეზი და გამოსავალი
ვერ ახერხებთ მოწყობილობის გააქტიურებას ან გამოყენებას.	მოწყობილობა არ არის ან არასწორად არის დაკავშირებული ელექტროქსელთან.
მოწყობილობა არ ცხელდება.	საათი არ არის დაყენებული. ტაიმერის დასაყენებლად, იხილეთ საათის ფუნქციები. კარი არ არის სწორედ დაკეტილი. მცველი გადამწვარია. დარწმუნდით, რომ დამცველი არ არის პრობლემის გამომწვევი. თუ პრობლემა კვლავ განმეორდა, დაუკავშირდით კვალიფიციურ ელექტრიკოსს. Child Lock (ბავშვებისთვის ბლოკირება) გააქტიურებულია.
ნათურა გამორთულია.	ნათურა გადამწვარია. გამოცვალეთ ნათურა. დეტალებისთვის იხილეთ მოვლა და დასუფთავება.
 ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა ყოველთვის აჩერებს წმენდას. ახლიდან გაწმინდეთ, თუ იგი კვების მიწოდების მიზეზების გამო შეწყდა.	
უსადენო ქსელის სიგნალის პრობლემა.	შეამოწმეთ, არის თუ არა მობილური მოწყობილობა უსადენო ქსელთან დაკავშირებული. შეამოწმეთ უსადენო ქსელი და როუტერი. გადატვირთეთ როუტერი.
დაინსტალირებულია ახალი როუტერი ან შეიცვალა როუტერის კონფიგურაცია.	დუმლისა და მობილური მოწყობილობის ხელახლა კონფიგურაციისთვის იხილეთ პირველად გამოყენებამდე, უსადენო კავშირი.
უსადენო ქსელის სიგნალი სუსტია.	გადაიტანეთ როუტერი დუმელთან რაც შეიძლება ახლოს.
უსადენო ქსელის სიგნალს ხელს უშლის, მოწყობილობასთან ახლოს განთავსებული მიკროტალღური მოწყობილობა.	გამორთეთ მიკროტალღური დუმელი. მოერიდეთ მიკროტალღური დუმელისა და დისტანციური პულტის ერთდროულად მუშაობას. მიკროტალღები Wi-Fi სიგნალს არღვევენ.

პრობლემის აღწერილობა	მიზეზი და გამოსავალი
PizzaExpert ფუნქცია ჩერდება და ეკრანზე საწყისი შეტყობინება გამოჩნდება.	თქვენ შეცვალეთ ტემპერატურა წინასწარი გათბობის ფაზის დროს. დააჭირეთ Next (შემდეგი)-ს პირველი შეტყობინებაში, შემდგომ დააჭირეთ Start (დაწყება)-ს წინასწარი გათბობის განახლებისთვის ახლად დაყენებული ტემპერატურით.

12.2 შეცდომის კოდები

პროგრამული შეცდომის დაფიქსირების დროს ეკრანი შეცდომის შეტყობინებას აჩვენებს. პრობლემების სიას შეგიძლიათ გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში. როდესაც ეკრანზე შემდეგი შეტყობინება კვლავ ჩნდება, აღნიშნული მიუთითებს დეფექტური ქვესისტემის შესაძლო გათიშვაზე. მსგავს შემთხვევაში, დაუკავშირდით თქვენს დილერს ან ავტორიზებულ სერვის ცენტრს.

კოდი და აღწერილობა	გამოსავალი
F102 - ღუმელის კარი არ არის ბოლომდე დახურული ან კარის საკეტი გატეხილია.	დაკეტეთ კარი. გამორთეთ და ჩართეთ მოწყობილობა.
F111 — Food Sensor (საკვები პროდუქტების სენსორი) არ არის სწორად ჩასმული შტეფსელის როზეტში.	სრულად ჩასვით Food Sensor (საკვები პროდუქტების სენსორი) შტეფსელის როზეტში.
F240, F439 — ეკრანზე არსებული სენსორული არეები სწორად არ მუშაობს.	გაწმინდეთ ეკრანის ზედაპირი. დარწმუნდით, რომ სენსორული არეები დაბინძურებული არ არის.
F601 — Wi-Fi სიგნალს პრობლემა აქვს.	შეამოწმეთ კავშირი ქსელთან. იხილეთ პირველად გამოყენებამდე, უსადენო კავშირი.
F604 — პირველი კავშირი Wi-Fi-თან შეფერხდა.	გამორთეთ და ჩართეთ მოწყობილობა და კვლავ სცადეთ აწლიდან. იხილეთ პირველად გამოყენებამდე, უსადენო კავშირი.
F908 — მოწყობილობის სისტემა მართვის პანელს ვერ უკავშირდება.	გამორთეთ და ჩართეთ მოწყობილობა.
F602, F603 — Wi-Fi არ არის ზელმისაწვდომი. 1)	გამორთეთ და ჩართეთ მოწყობილობა.

1) აღნიშნულ შეცდომათაგან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში, მოწყობილობის დანარჩენი ფუნქციები ჩვეულებისამებრ განაგრძობს მუშაობას.

12.3 მომსახურების მონაცემები

თუ პრობლემის გადაჭრის გზას თავად ვერ პოულობთ, დაუკავშირდით თქვენს დილერს ან ავტორიზებულ სერვისცენტრს.

სერვისცენტრის საჭირო მონაცემები მითითებულია საფირმო ფირფიტაზე. ქარხნული პასპორტი მოწყობილობის წინა ჩარჩოზეა განთავსებული. ხილვადია, როდესაც კარს გააღებთ. არ მოხსნათ მოწყობილობის საფირმო ფირფიტა.

გირჩევთ, მონაცემები დაწეროთ აქ:

მოდელი (MOD.):

პროდუქტის ნომერი (PNC):

სერიული ნომერი (S.N.):

13. ტექნიკური მონაცემები

13.1 ტექნიკური მონაცემები

ძაბვა	220 - 240 ვ
სიხშირე	50 - 60 ჰც

14. ენერგოეფექტურობა

14.1 პროდუქტის საინფორმაციო ფურცელი და პროდუქტის ინფორმაცია (EU) No 65/2014 და (EU) No 66/2014-ის შესაბამისად

მომწოდებლის დასახელება	Electrolux
მოდელის იდენტიფიკაცია	LOX8P87WZ 949288449
ენერგოეფექტურობის ინდექსი	61.2
ენერგოეფექტურობის კლასი	A++
ენერგიის მოხმარება სტანდარტული დატვირთვისას, კონგეციური რეჟიმი	0.93 კვტსთ/ციკლი
ენერგიის მოხმარება სტანდარტული დატვირთვით, ვენტილირებული რეჟიმი	0.52 კვტსთ/ციკლი
კამერების რაოდენობა	1
სითბოს წყარო	ელექტრობა
ხმა	72 ლ
ღუმლის ტიპი	ჩასაშენებელი ღუმელი
მასა	37.4 კგ

მოწყობილობამ ჩააბარა შემდეგი ტესტები: EN IEC 60350-1.

14.2 ინფორმაციის მოთხოვნები (EU) No 2023/826-ის შესაბამისად

ენერგიის მოხმარება ლოდინის რეჟიმში	0.8 ვტ
ენერგიის მოხმარება ქსელის ლოდინის რეჟიმში	2.0 ვტ
მაქსიმალური დრო, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ მოწყობილობა ავტომატურად გადავიდეს დაბალი ენერგომოხმარების შესაბამის რეჟიმში	20 წთ

მოწყობილობამ ჩააბარა შემდეგი ტესტები: EN 50564, EN 63474.

უსადენო ქსელური კავშირის ჩართვის და გამორთვის შესახებ ინსტრუქცია იხილეთ აქ: პირველად გამოყენებამდე.

14.3 რჩევები ენერგიის დაზოგვის შესახებ

ქვემოთ მოცემული რჩევები დაგეხმარებათ ენერგიის დაზოგვაში. დარწმუნდით, რომ მოწყობილობის მუშაობის პროცესში კარი დახურულია. მზადების პროცესის განმავლობაში

მოწყობილობის კარს ხშირად ნუ გააღებთ. შეინარჩუნეთ კარის შუასადების სისუფთავე და დარწმუნდით რომ იგი მის პოზიციასში კარგადაა ფიქსირებული.

ენერგიის დაზოგვის გასაუმჯობესებლად გამოიყენეთ სამზარეულოს მეტალის ჭურჭელი, მუქი ქილები და კონტეინერები, რომლებიც შუქს არ ირეკლავს.

არ გაახურეთ მოწყობილობა წინასწარ საჭმლის მომზადებამდე, თუ ეს სპეციალურად არ არის რეკომენდებული.

ერთდროულად რამდენიმე კერძის მომზადების დროს, ეცადეთ ცხობას შორის შუალედები მინიმუმამდე დაიყვანოთ.

ვენტილაციით მზადება

როდესაც ეს შესაძლებელია, ენერგიის დაზოგვის მიზნით გამოიყენეთ ვენტილაციით მზადების ფუნქციები.

ნარჩენი სითბო

ცხობის 30 წუთზე მეტი ხანგრძლივობის შემთხვევაში, ცხობის დასრულებამდე მინიმუმ 3-10 წუთით ადრე შეამცირეთ მოწყობილობის ტემპერატურა. მზადების პროცესი გაგრძელდება მოწყობილობაში არსებული ნარჩენი სითბოს გამოყენებით.

გამოიყენეთ ნარჩენი სითბო საკვების თბილად შესანახად და სხვა კერძების შესათბობად.

როდესაც მოწყობილობას გათიშავთ, ეკრანი აჩვენებს ნარჩენ სითბოსა და ტემპერატურას.

თუ პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებულია ხანგრძლივობა, გააქტიურდა და საჭმლის მომზადების დრო 30 წუთზე მეტია, გათბობის ელემენტები ავტომატურად გამოირთვება უფრო ადრე მოწყობილობის ზოგიერთი ფუნქციის შემთხვევაში.

საჭმლის სითბოს შენარჩუნება

ნარჩენი სითბოს გამოსაყენებლად და საკვების თბილად შესანახად აირჩიეთ შესაძლო უდაბლესი ტემპერატურა. ეკრანზე გამოჩნდება ნარჩენი სითბოს მაჩვენებელი ან ტემპერატურა.

გათიშული სანათით მზადება

გათიშეთ სანათი მზადების განმავლობაში. ჩართეთ იგი მხოლოდ მაშინ, როდესაც დაგჭირდებათ.

Moist Fan Baking (ცხობა ტენიანი ვენტილაციით)

ფუნქცია შექმნილია მზადების მანძილზე ენერგიის დასაზოგად.

ამ ფუნქციის გამოყენებისას ნათურა 30 წამის შემდეგ ავტომატურად ითიშება. თქვენ შეგიძლიათ, კვლავ ჩართოთ ნათურა, მაგრამ აღნიშნული ქმედება შეამცირებს ენერგიის მოსალოდნელ დანაზოგს.

Wi-Fi

როდესაც შესაძლებელია, გამორთეთ Wi-Fi ენერგიის დასაზოგად.

15. გარემოსდაცვითი საკითხები

საჭიროა მასალების გადამუშავება, თუ პროდუქტზე გამოსახულია სიმბოლო . გადამუშავებისთვის შესაფუთი მასალა მოათავსეთ შესაბამის კონტეინერში. დაგვეხმარეთ გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვაში ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების გადამუშავებით.

